4 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნიოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტს სტუმრობდნენ ცნობილი კომპანიის „ჰაიდელბერგცემენტის“ წარმომადგენლები.

გაიმართა შეხვედრა ფაკულტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. შეხვედრაზე სტუმრებმა ისაუბრეს კომპანიის წარმატებებსა და პერსექტივებზე. მათ დაინტერესებულ სტუდენტებს შესთავაზეს, მოენახულებინათ კომპანიის ქარხნები. შეხვედრაზე, ასევე, განხილული იქნა სტუდენტებისთვის კომპანიაში სათანადო ტრენინგების გავლის შესაძლებლობები, შემდგომში დასაქმების პერსპექტივით.